პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 203 (12411) | ოთხშაბათი, 29 აგვისტო, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

**მეჩაიეებო! არ შევაჩეროთ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, სამშობლოს მივცეთ 160.000 ტონა ჩაის ფოთოლი!**

**ზაფხული მიიწურა, ყოველმხრივ მზად შევხვდეთ მომავალ ზამთარს, უხვად მოვიმარაგოთ პირუტყვის საკვები.**

**დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ სიმინდი — მესაქონლეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდი რეზერვი! არ დავივიწყოთ, მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია.**

## 160.000 ტონა

## აჭარელ მეჩაიეთა გამარჯვება

ბათუმი. (ტელეფონით, საქ. კორ.). აჭარის ასსრ მეჩაიეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს; ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ნაცვლად 26.121 ტონისა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 26.145 ტონა ჩაის ფოთოლი.

აჭარელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს დამატებით მოკრიფონ 1.000 ტონა „მწვანე ოქრო".

## წულუკიძელთა წარმატება

წულუკიძე. (საქ. კორ.). გუშინ, 28 აგვისტოს, რაიონის მეჩაიეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა — გათვალისწინებული 2.760 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 2.765 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

განსაკუთრებით ისახელეს თავი სოფელ გორა-ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. ანდრიაძე) მეჩაიეებმა, რომლებმაც წლიური გეგმით გათვალისწინებულ 157 და ვალდებულებით ნაკისრ 170 ტონის ნაცვლად 200 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. მათ გადაწყვეტილი აქვთ დამატებით კიდევ 30 ტონა ჩაი მოკრიფონ.

რაიონის მეჩაიეებმა ახალი ვალდებულება იკისრეს — წინათ ნაკისრი 240 ტონის ნაცვლად სეზონის ბოლომდე გეგმის ზევით მისცენ სამშობლოს 300 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

## ვ. ი. ლენინი — აკადემიური ბიბლიოთეკის მკითხველი

### აღმოჩენილია უცნობი ავტოგრაფი

ლენინგრადი, 28 აგვისტო. (საქდესი). ვ. ი. ლენინზე, როგორც მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის მკითხველზე დღემდე უცნობი მონაცემები აღმოჩნდა ამ წიგნსაცავის ისტორიის მასალების შესწავლის დროს.

ბიბლიოთეკის მეცნიერმა თანამშრომელმა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ი. კაცმა, რომელმაც ეს მონაცემები აღმოაჩინა, საქდესის კორესპონდენტს უამბო:

— ჩანაწერების წიგნის (1856-1909 წლები) დროისაგან გაყვითლებულ 61-ე ფურცელზე არის ხელმოწერა „ვლად. ულიანოვი". წიგნის სახელწოდებაა „ალბომი გარეშე მომსვლელთა და მკითხველთათვის". აქვე გვერდით აღნიშნულია მისამართი, სადაც ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა: „ეკატერინგოფის 3/8". გრაფაში მეცადინეობის საგნის შესახებ ვლადიმერ ილიას-ძის ხელით ჩაწერილია:



როგორც ახლა დადგენილია, ვ. ი. ლენინის ავტოგრაფი ეკუთვნის 1891 წლის შემოდგომას, როცა იგი ექსტერნად აბარებდა გამოცდებს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამას ადასტურებს ვ. ი. ლენინის მიერ აღნიშნული მისამართი. ვლადიმერ ილიას-ძე აქ ცხოვრობდა სამარიდან ჩამოსვლის შემდეგ 7 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე.

ვლადიმერ ილიას-ძე სარგებლობდა აკადემიური ბიბლიოთეკის უმდიდრესი ფონდებით და აწარმოებდა ღრმა მეცნიერულ კვლევას რუსეთის ეკონომიური განვითარების პრობლემებზე. ამიტომ გრაფაში მკითხველთა მეცადინეობის საგნის შესახებ მან ჩაწერა: „პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა".

ლენინის ავტოგრაფი ახლა გაეგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა და ნოროდომ სიანუკმა წერილები გაუცვალეს ერთმანეთს

[illegible]

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო უ ტანი

[illegible] კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა ს. ქ. ცარაპკინმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილემ ე. დ. კისელიოვმა და სხვ.

საუბრის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილად მიიწვია უ ტანი თავის ოჯახში.

## ჯილდოები საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საბჭოს კომიტეტმა მიღწეული წარმატებებისა და 1961 წლის გამოფენაში მონაწილეობისათვის დააჯილდოვა საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და რაიონები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი ჯგუფი.

**I ხარისხის** დიპლომით დაჯილდოებულია ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობა. არტელის მშრომელებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს მოწინავე აგროტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვის გამო, რამაც უზრუნველყო 6.040 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღება თითოეულ ჰექტარზე. გამოფენის მედლებითა და ძვირფასი საჩუქრებით დაჯილდოებულია კოლმეურნეობის რვა მოწინავე.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებისა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის **II ხარისხის დიპლომებით** დაჯილდოვდნენ ზუგდიდისა და ტყიბულის რაიონები.

**II ხარისხის** დიპლომებით დაჯილდოებული არიან აგრეთვე ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათისა და სოფელ აჭყვის, მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათისა და რუხის, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობები მეჩაიეობაში მიღწეული წარმატებებისათვის, ხეთის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა — დაფნის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობა — თუთის აბრეშუმის ჭიის პარკის გამოსავლიანობის გადიდებისათვის, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობა — ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის და ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა — მეთამბაქოეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

**III ხარისხის დიპლომებით** დაჯილდოებული არიან მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის, ბახვისა და ნატანების კოლმეურნეობები, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველო" და ზუგდიდის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა.

გამოფენის მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 218 მოწინავე. მაღალი ჯილდო „საპატიო დიპლომი" ხვდა წილად სახელგანთქმულ მეჩაიეს, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მერგოლეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს ტ. ჩხაიძეს. ნოვატორი მეჩაიის რგოლმა შარშან მისთვის მიჩენილი ოთხი ჰექტარი პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა 12.020 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

**დიდი ოქროს მედლითა და ფასიანი საჩუქრით** დაჯილდოებულია მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" ახალგაზრდა მკრეფავი ლ. მაღულარია, რომელმაც მისთვის მიჩენილ 0,75 ჰექტარზე შარშან მოკრიფა 12.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

**პატარა ოქროს მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით** დაჯილდოებული არიან ზუგდიდის რაიონის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი დ. პერტაია, ზედა ეწერის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშაკი ნ. პაკელიანი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი ტ. ტყებუჩავა, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობის მერგოლე პ. კასიტერიდი, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. დობრონეცკი, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის ჩაის მკრეფავი მ. ჯინჭარაძე, ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსი ა. ჰექია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში ა. ქვარცხავა.

**დიდი ვერცხლის მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით** დაჯილდოებული არიან ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ანდრიადი და ამ კოლმეურნეობის უფროსი აგრონომი კ. გონიადი, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ლაკოია და უფროსი აგრონომი ფ. ლაკერბაია, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ქადარია, ხობის რაიონის ხეთის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ხორავა, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ცხადაძე, საქართველოს კომპარტიის ტყიბულის რაიკომის პირველი მდივანი კ. ლომაძე და სხვები, სულ 41 კაცი.

**პატარა ვერცხლის მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით** დაჯილდოებულია სოფლის მეურნეობის 70 მოწინავე, **ბრინჯაოს მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით** — 97 მოწინავე. (საქდესი).

## თავი გამოიჩინეს

**გალი.** (საქ. კორ.). შვიდწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადაზე ადრე განაღდებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავ შედეგებს აღწევს გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის ფაბრიკის (დირექტორი ლ. ზუხბაია) კოლექტივი. ფაბრიკამ ნახევარი წლის დავალება 138 პროცენტით შეასრულა.

კიდევ უკეთესად იშრომეს ივლისსა და აგვისტოში. 20 აგვისტოსათვის შეასრულეს შავი ბაიხაო ჩაის, „საქართველოს თაიგულის", უმაღლესი პირველი და უმაღლესი მეორე ხარისხის ჩაის პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდამ 16 პროცენტს მიაღწია. თვითეული კილოგრამი შავი ბაიხაო ჩაის თვითღირებულება 82 კაპიკით შემცირდა და მწვანე ბაიხაო ჩაისა — 47 კაპიკით.

მაღალნაყოფიერი შრომით განსაკუთრებით გამოირჩევიან ფაბრიკის საამქროების უფროსები ხ. უბილავა, ვ. ლიპარტია, მუშები ს. ფარჩიძე, მ. ახლოვსკაია, ლ. ბლოხინა და სხვები.

## მშვიდობისა და ბედნიერებისათვის დედამიწაზე

### საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა პაკისტანელ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ფაიზ აჰმად ფაიზს

**მოსკოვის** მშრომელებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, მწერლები და პოეტები, საზღვარგარეთელი სტუმრები 27 აგვისტოს მოვიდნენ კრემლის სვერდლოვის დარბაზში, რათა მონაწილეობა მიეღოთ საზეიმო შეკრებაში, რომელიც მიეძღვნა პაკისტანელი პოეტისა და საზოგადო მოღვაწისათვის ფაიზ აჰმად ფაიზისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის გადაცემას.

დღის 3 საათია. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ აჰმად ფაიზი, საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი, ლენინური პრემიების კომიტეტის წევრი კინორეჟისორი გ. ვ. ალექსანდროვი, მწერლები და პოეტები ლეონიდ სობოლევი, ანატოლი სოფრონოვი, ალექსი სურკოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ე. ვ. ივანოვი და სხვები, აგრეთვე პაკისტანის ელჩი სსრ კავშირში მ. არშად ჰუსეინი.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ აჰმად ფაიზს, მშვიდობის მოძრაობის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებს.

... წაკითხულ იქნა დადგენილება აჰმად ფაიზის დაჯილდოების შესახებ. დ. ვ. სკობელცინმა დაჯილდოებულს გადასცა საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი.

მისასალმებელ სიტყვაში აკადემიკოსი მხურვალედ ულოცავს აჰმად ფაიზს დამსახურებულ ჯილდოს, უსურვებს ლაურეატს ახალ წარმატებებს კეთილშობილურ საქმიანობაში, რომელიც მიმართულია ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ლენინური პრემიის ახალ ლაურეატს გულმხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ტიხონოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ალექსი სურკოვი, საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ანატოლი სოფრონოვი და აზიის ხალხთა ინსტიტუტის სახელით — ე. პ. ჩელიშევი.

შემდეგ საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ფაიზ აჰმად ფაიზმა, რომელსაც დიდი ინტერესითა და ყურადღებით მოუსმინეს. (საქდესი).

## უ ტანი მოსკოვში

**გაერთიანებული** ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის ამსრულებელი უ ტანი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება, 27 აგვისტოს ეწვია კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს. შეხვედრის დროს ლ. ი. ბრეჟნევსა და უ ტანს შორის მეგობრული საუბარი გაიმართა.

უფრო გვიან უ ტანი ეწვია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს და ესაუბრა მას.

ა. ა. გრომიკომ საუზმე გამართა სტუმრის პატივსაცემად.

უ ტანმა იმავე დღეს ინახულა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გაიცნო პირობები, რომლებშიც ცხოვრობენ და სწავლობენ მსოფლიოს 70-ზე მეტი ქვეყნის სტუდენტები. (საქდესი).



## სანამ ზარი დაირეკება

ჯერ პირველი სექტემბერი არ არის, მაგრამ სკოლებში უკვე ისმის ბავშვების ჟრიამული. განსაკუთრებით პირველკლასელები, წელს პირველად რომ შეუდგებიან სწავლას, ინტერესით მიეშურებიან სკოლისაკენ, მოუთმენლობას იჩენენ, მათ შინ ვეღარ აკავებენ მშობლები.

და აი გუშინ ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა დედაქალაქის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის ეზოში ნახა ასეთი სურათი — ჭაღარამოსილ, დამსახურებულ მასწავლებელ დარია სიამაშვილს გარს შემოხვევიან თავისი მომავალი მოსწავლეები... იგი კიბესთან ეგებება მოსულ ბავშვებს, დედობრივად ელერსება. ამათთან უნდა იმუშაოს მან მთელი ორი წელიწადი — მას ხომ ამ სკოლაში პირველი და მეორე კლასები აბარია.

დარია მასწავლებელი ამ სკოლაში მეცხრამეტე ახალ სასწავლო წელს ეგებება, ხოლო მთელი თავისი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე — ოცდამეთხუთმეტეს! ეს შრომა დაუფასეს მას პარტიამ, მთავრობამ, ხალხმა. იგი ორდენოსანი და მედალოსანი მასწავლებელია.

ჩვეული ენერგიით უძღვება იგი პატარების აღზრდის საქმეს. მას ვერც წარმოუდგენია, რომ პირველკლასელებს არ ასწავლიდეს. ყველაზე გამოცდილი პედაგოგის ხელი სჭირდებათ პატარებს.

გუშინ ზოგს ჯერ ფორმაც არ ეცვა, ისე მოცუნცულდა სკოლაში, აინტერესებდათ თავიანთი თვალით ენახათ, თუ სად ისწავლიან და, რაც მთავარია, — ვისთან ისწავლიან!

გულისფანცქალით, სიხარულით ელიან ისინი პირველი სექტემბრის ზარის აწკრიალებას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## მობრძანდი რთველო!

**მცხეთა.** (საქ. კორ.). რაც დრო გადის, მით უფრო მეტი სიწითლე ეპარება საფერავს, ოქროსფერი ედება რქაწითელს, მზიურ ძალას იკრებს ჩინური და გორული მწვანე... ახლოვდება რთველი.

კარგად მოემზადნენ ახალი მოსავლის მისაღებად სამტრესტის მცხეთის ღვინის ქარხანაში (დირექტორი თ. სავანელი), სადაც დამატებით ააშენეს ასი ათასი დეკალიტრის ტევადობის ახალი ბუტები, დაამონტაჟეს ახალი წნეხი და 9.500 დეკალიტრის ტევადობის როფები, ქარხანას შეემატა ყურძნის მესამე გადასამუშავებელი, რითაც ქარხნის წარმადობა დიდად გაიზარდა. ახლა მცხეთელ მეღვინეებს შეუძლიათ დღეში 80-100 ტონა ყურძენი გადაამუშაონ.

მცხეთელ მეღვინეთა მტკიცე სიტყვაა მიიღონ მაღალხარისხოვანი ყურძენი, არ დაუშვან დანაკარგები და გამოუშვან გაცილებით მეტი პროდუქცია, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

არის ნაკლიც. დღემდე ღვინის ქარხანას აკლია წყალი, უამისოდ კი მეღვინეებს ნორმალური შრომა არ შეუძლიათ. მცხეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და სამტრესტის ხელმძღვანელობა უნდა დაეხმარონ ქარხანას ამ საქმის სასწრაფოდ მოგვარებაში.



## 30 წლის წინათ სურამის უღელტეხილი პირველად გადალახა ელექტრომავალმა

რელსებზე დაცემული მზის სხივი თითქოს ნაპერწკლებს ყრისო, ისე ცხელოდა იმ დღეს. სადგურის ბაქანზე ვიყავი და თვალს ვადევნებდი, როგორ ადგენდნენ ახალ მატარებელს სურამის უღელტეხილის რთულპროფილიან გზაზე გადასაყვანად.

საავლუმო ელექტრომავლის სასტვენის ხმა მალიმალ ისმოდა. მეოთხე ლიანდაგზე ადგენდნენ მატარებელს. აი შემადგენლობას კიდევ რამდენიმე ვაგონი დაუმატეს. საავლუმო ელექტრომავალი კი თბილისის მხრიდან შემოსავლელი ისრებისაკენ დაიძრა.

რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილმა სახემცინარმა კაცმა სიყვარულით გააყოლა თვალი ამ ცისფერ ელექტრომავალს. გეგონებოდა, რაღაცაზე გული სწყდებაო, ისე წარმოთქვა: „ჩემი ელექტრომავალი".

ცნობისმოყვარეობამ მძლია, მინდოდა მეკითხა ვინ იყო, მაგრამ სხვა ელმავალი ჩამოდგა და ის რკინიგზელი თან წაიყვანა.

...რკინიგზელთა პოლიტიკური განათლების კაბინეტში შევედი. ახალი ჟურნალ-გაზეთები გადავათვალიერე. მაგიდაზე კალენდარი იყო გადაშლილი. წავიკითხე, რომ 29 აგვისტოს სრულდება ოცდაათი წლისთავი, რაც სურამის უღელტეხილი პირველად გადალახა ელექტრომავალმა... სურვილი აღმეძრა რაიმე დამეწერა ამ თარიღთან დაკავშირებით, და არც დამიყოვნებია, მივედი, ხაშურის სალოკომოტივო დეპოში.

სალოკომოტივო დეპოს კადრების განყოფილებაში გადმომილაგეს მემანქანეების, მემანქანე-ინსტრუქტორების პირადი საქმეები...

— ვერ მეტყვით მაინც, ვინ არის ის მემანქანე, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა წაიყვანა ელექტრომავლით მატარებელი უღელტეხილზე? — ვიკითხე.

— როგორ არა. აი თუნდაც ჩვენი კოლია ტყეშელაშვილი!

— ახლა სად არის. დეპოშია?

— არა, დღეს ისვენებს, შინ იქნება.

ესეც ნიკოლოზ ტყეშელაშვილის პირადი საქმე. იგი მოგვითხრობს მის დიდ დამსახურებაზე.

„ოცდაათი წლის წინათ ნ. ტყეშელაშვილმა პირველი საბჭოთა ელექტრომავლით „ვლ 19-01"-ით ერთ-ერთმა პირველმა გადალახა სურამის უღელტეხილი" — გვამცნობს ეს დოკუმენტი.

პირველი საბჭოთა ელექტრომავალი, მისი მემანქანეობა გვირაბისაკენ, უღელტეხილის დაპყრობა... აი, მართლაც მივაგენი ნარკვევის გმირს.

ტყეშელაშვილის ბინისაკენ გავწიე. რკინიგზის სახლში მიმასწავლეს, კოლია აქ ცხოვრობსო. მასპინძელი ვიხმე, გამოვიდა დარბაისელი ქალი, იგი ღიმილით მომეგება, ოთახში მიმიძღვა და მითხრა:

— ალბათ კოლიას საქმეზე იქნებით, მითხარით ხომ ყველაფერი კარგად არის?

არ ვიცოდი, რას გულისხმობდა ამ კითხვაში, მაგრამ პასუხი არ დავუგვიანე.

— დიახ, კარგად!

— კოლია ახლახან გავიდა. ამხანაგებს ცინახულებო, თქვა, — მესაუბრებოდა ნიკოლოზის მეუღლე თამარი, — მოგეხსენებათ შვილიშვილებით გართული ვართ, მოსვენება არა გვაქვს. კოლია სულ იმას ამბობს, შვიდი შვილიშვილის პაპა ვარ და ნეტავ მალე არ დავბერდებოდეო. ოცდაჩვიდმეტი წელია რკინიგზაზე მსახურობს და ჯერ არაფერი შემთხვევია.

საოჯახო ალბომს დავუწყე თვალიერება.

— ეს ჩემი უფროსი ვაჟიშვილია, — გვეუბნება დედა.

— მიშა ტყეშელაშვილი!

— დიახ!

— ვიცნობ, ადრე მემანქანედ მუშაობდა, ახლა დეპოს უფროსის მოადგილეა.

ოჯახის დედამ ალბომი გადაფურცლა.

— ეს ჩემი ქალიშვილი ცისანაა, ხაშურის მუსიკალური სკოლის მასწავლებელია, ესეც ვაჟიშვილი ნოდარი — ელექტრომავლის მემანქანის თანაშემწე.

— ეს ვინღაა?

— სულ უფროსი ქალიშვილია, კიევშია გათხოვილი. მაიორის ცოლია...

იმ საღამოს ნიკოლოზმა დაიგვიანა და ამიტომ მეორე დღეს შევხვდი. იგი სწორედ ის რკინიგზელი აღმოჩნდა, რომელმაც ასე ნაღვლიანად გააყოლა თვალი ელექტრომავალს.

დიდხანს ვისაუბრეთ. მან ბევრი რამ გაიხსენა და კერძოდ პირველ ელექტრომავალზე, აი რა გვიამბო:

— ეს იყო ამ ოცდაათი წლის წინათ სურამის უღელტეხილის რკინიგზის ელექტროფიკაციის სამუშაოები მთავრდებოდა. ელექტრომავლის მემანქანეებს ამზადებდნენ. მაშინ ორთქლმავლის მემანქანე ვიყავი — გამომიძახეს, კურსები გავიარე მოსკოვში და წილად მხვდა ბედნიერება პირველი საბჭოთა ელექტრომავალი წამეყვანა უღელტეხილისაკენ. მაშინ სულ რვა ელექტრომავალი იყო დეპოში. საბჭოურ ელექტრომავლების გარდა მოიყვანეს იტალიური და ამერიკული ელექტრომავლები. შეჯიბრებაში საბჭოურმა აჯობა ყველას, მიხარია, რომ პირველ საბჭოთა ელექტრომავლის საჭესთან მეც ვიჯექი, უღელტეხილის დაპყრობაში წვლილი მიმიძღვის.

პირველად სარეკორდო იყო ზესტაფონიდან მარელისამდე ერთი წევით წამოგვეყვანა ათასტონიანი მატარებელი, და ეს წარმატებით შესრულდა. მალე საქმე წინ წავიდა. ხაშურში ჩამოიყვანეს შვიდასტონიანი წონის მატარებელი. ეს ყველაფერი მაშინ სენსაციური იყო. მას აქეთ დიდი დრო გავიდა. მალე დამაწინაურეს, მემანქანე-ინსტრუქტორად დამნიშნეს და მოვალეობის შესრულების პერიოდში შეუმჩნევლად გავიდა ოცდაცხრა წელი. ახლა უღელტეხილი დამორჩილებულია, თავისუფლად დასრიალებენ თბილისის ლენინის სახელობის ქარხნის მიერ გამოშვებული ელმავლები.

ახლა ჩვენი მემანქანეები არ სჯერდებიან სამიათასტონიანი მატარებლების ტარებას. ყველაფერი ეს უზრუნველყოფილია ადამიანის მიერ ტექნიკაზე გამარჯვებით, ავტომატური სამუხრუჭეების გამოყენებით, ჯაჭვური გადაბმის უკუგდებით, ელექტრომავალთა სიმძლავრის გაზრდით.

ვკითხე, როგორ მონაწილეობდა მემანქანეთა აღზრდაში. ნიკოლოზს გაეცინა.

— აი ჩვენი დეპოს უფროსს აგლაძეს ხომ იცნობთ? კარგად მახსოვს, ის რომ მოვიდა ჩვენს კოლექტივში. მაშინ 1936 წელი იყო, ტექნიკუმი ჰქონდა დამთავრებული, გული ელმავალზე მიუწევდა. როცა გადაწყდა მისთვის ელმავალი ჩაებარებინათ, როგორც მემანქანე-ინსტრუქტორი მე გამაყოლეს პირველ რეისზე. მონდომებულმა ახალგაზრდამ ცოდნა და უნარი გამოამჟღავნა.

ამიტომ არის, რომ დეპოს უფროსი ავთანდილ აგლაძე ბევრ რამეს უმადლის ცნობილ მემანქანე-ინსტრუქტორს ტყეშელაშვილს. ასეთი მაგალითები ბევრია.

საუბრის ბოლოს ნიკოლოზმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში დეპოში ბევრი სახელოვანი მემანქანე გაიზარდა. უკანასკნელ ხანს განვითარდა მძიმეწონიანი მატარებლების წაყვანა. ამ საქმის სული და გული არიან ახალგაზრდა მემანქანეები რევაზ საყვარელიძე, ვასილ დერევენჩენკო, ლავრენტი გორგაძე, გიორგი დათიაშვილი, გიორგი ლომუაშვილი და სხვები, რომლებსაც ყოველწლიურად ათობით მძიმეწონიანი მატარებელი გადაჰყავთ და ასეულ ათასობით ზეგეგმითი სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადააქვთ.

სალოკომოტივო დეპომ გადაჭარბებით შეასრულა ტვირთზიდვის შვიდი თვის დავალება, ამასთან გაზარდა ელმავლის ტექნიკური სიჩქარე.

ტყეშელაშვილი სულით და გულით ნამდვილი რკინიგზელია. იგი ექვსი ათეული წლის კაცია და ჯერ კიდევ ბევრს იმუშავებს რკინიგზაზე.



ნ. ტყეშელაშვილი.

* * *

...ცისფერი ელექტრომავალი „ვლ 19-01" დღედაღამ განუწყვეტლივ მიმოდის რკინიგზის ხაშურის ლიანდაგებზე. ვაგონები გადააქვს ერთიდან მეორე ლიანდაგზე. ახალ მატარებელს ადგენს. მას აქვს საამაყო... ის ხომ პირველი საბჭოთა ელექტრომავალია.

**მ. ხეთაგური,**
„კომუნისტის" საქ. კორ.

# მშრომელთა იდეური აღზრდა

## პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის შესახვედრად

პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ და მისმა გადაწყვეტილებებმა პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ახალი აღმავლობა გამოიწვიეს. ეს მუშაობა მიმართულია იმისაკენ, რომ ყველა მშრომელს გავაცნოთ სკკპ პროგრამის დიადი იდეები, უზრუნველვყოთ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრა. გასულ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ყველა რგოლისა და ფორმის მუშაობის ძირითად შინაარსს შეადგენდა XXII ყრილობის მასალებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების შესწავლა. იგი ეხმარებოდა კომუნისტებსა და უპარტიოებს იმაში, რომ უფრო ღრმად გაიაზრონ პარტიის მიზნები და ამოცანები, უფრო აქტიურად იბრძოლონ მათი განხორციელებისათვის.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა პარტიული პროპაგანდის სფერო და გაძლიერდა მისი ქმედითობა. **გასულ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ქსელში მეცადინეობდა 22,5 მილიონზე მეტი კაცი — 3,4 მილიონით მეტი, ვიდრე წინა სასწავლო წელს.** წრეებში, სკოლებსა და სემინარებში გასულ წელს მეცადინეობდა 15,5 მილიონი უპარტიო-მსმენელთა საერთო რიცხვის 70 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიული განათლება მშრომელთა მასობრივი პოლიტიკური განათლება გახდა.

განვითარდა პოლიტიკური სწავლების დამოუკიდებელი ფორმები. თეორიულ სემინარებში და ინდივიდუალური გეგმებით მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ეუფლებოდა 5,5 მილიონამდე კაცი. მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად წაკითხულ იქნა ნახევარ მილიონზე მეტი ლექცია, უმთავრესად XXII ყრილობის მიერ და პარტიის პროგრამით აღძრულ პრობლემებზე. ბევრი კომუნისტი მეცადინეობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, კულტურის სახალხო უნივერსიტეტებში, პროფესიულ-ტექნიკური სწავლების წრეებსა და სკოლებში.

ყრილობის მასალების შესწავლისას დიდი ყურადღება ექცეოდა კომუნიზმის მშენებლობის ეკონომიურ პრობლემებს, კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს. ფართოდ იყო გამოყენებული სწავლების ისეთი ქმედითი ფორმები, როგორიც არის თეორიული და ეკონომიური კონფერენციები. ფართოდ გავრცელდა კულტურის სახალხო უნივერსიტეტები.

პოლიტიკური განათლების ფართო გაქანებამ, მისი იდეური დონის ამაღლებამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მსმენელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდაზე. ბევრი უპარტიო მუშა და კოლმეურნე შევიდა პარტიის რიგებში.

პარტიული ორგანიზაციები ახლა მეტ ყურადღებას აქცევენ პროპაგანდისტებთან მუშაობას. გასულ სასწავლო წელს დამტკიცებულ იქნა მილიონ ასი ათასზე მეტი პროპაგანდისტი, მათგან 200 ათასი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკია. სკოლების, წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელთა შორის ბევრია სახალხო მეურნეობის სპეციალისტი, მეცნიერი მუშაკი და მასწავლებელი. პროპაგანდისტთა შორის არის 88 ათასი მუშა და კოლმეურნე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე. მოეწყო იდეოლოგიურ მუშაკთა, აგრეთვე პროპაგანდისტების რაიონული სემინარების ხელმძღვანელთა სემინარები.

პარტიულმა კომიტეტებმა მოაწყეს პროპაგანდისტთა რეზერვის მომზადება. ეს მომზადება წარმოებდა საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან და ზოგიერთ მსხვილ პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ ერთწლიან კურსებზე, აგრეთვე სოფლის პროპაგანდისტთა დაუსწრებელ კურსებზე. ამ მიზნით გამოყენებული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტები.

სულ გასულ სასწავლო წელს მომზადებულ იქნა 140 ათასზე მეტი ახალი პროპაგანდისტი. პარტიული კომიტეტების შტატის 8 ათასამდე პროპაგანდისტულმა მუშაკმა გაიარა გადამზადება კურსებზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, აგრეთვე სარესპუბლიკათშორისო და საქალაქთაშორისო პარტიულ სკოლებთან არსებულ კურსებზე.

ამასთან ერთად სასწავლო წლის შედეგები ცხადყოფს, რომ ბევრი პარტიული კომიტეტი და პირველადი ორგანიზაცია ცუდად ხელმძღვანელობს პოლიტიკურ განათლებას. იდეოლოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობაში პარტიის კუიბიშევისა და მინსკის საოლქო კომიტეტების მხრივ დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოავლინა, ბევრ მხრივ ეხება სხვა პარტიულ ორგანიზაციებსაც. პარტიული კომიტეტები არაიშვიათად ურიგდებოდნენ ფორმალიზმისა და არაორგანიზებულობის ფაქტებს, მთელ რიგ ორგანიზაციებში ირღვეოდა ნებაყოფლობის პრინციპი სწავლების ფორმების არჩევაში, ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული ზეგავლენისა და წრეებში, პოლიტსკოლებსა და თეორიულ სემინარებში კომუნისტებისა და თვით უპარტიოების ხელაღებით ჩარიცხვის შემთხვევებს მათი სურვილისა და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გაუთვალისწინებლად.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია მეცადინეობის იდეური შინაარსისადმი უზრუნველ დამოკიდებულებას იჩენდა. არაიშვიათად სწავლება წარმოებდა მეცნიერული კომუნიზმის თეორიის ღრმად გაუაზრებლად, განისაზღვრებოდა მიმდინარე სამეურნეო საქმეების ზერელე განხილვით. ცალკეული პროპაგანდისტები გვერდს უვლიდნენ მწვავე საკითხებს, უშვებდნენ პრიმიტივიზმს, გაუბრალოებასა და ვულგარიზაციასაც კი თეორიის გადმოცემაში. ყრილობის მიერ წამოყენებულ თეორიულ საკითხებს ყოველთვის როდი აკავშირებდნენ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების კონკრეტულ ამოცანებთან. ამის შედეგად პოლიტიკური განათლება მთელ რიგ ადგილებში ნაკლებქმედითი იყო, ცუდად იყო გამოყენებული წარმოების ახალი გზებისა და შინაგანი რეზერვების გამოსანახავად, ჯეროვან გავლენას ვერ ახდენდა ადამიანთა აღზრდაზე.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი გატაცებული იყო სწავლის საწრეო ფორმებით, ჩარიცხავდნენ ამ წრეებში წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისათვის მომზადებულ ადამიანებს. ეს წარმოშობდა ფორმალიზმს პოლიტიკურ განათლებაში, ხელს უშლიდა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს დაუფლებას. მთელ რიგ შემთხვევებში თეორიული სემინარების მუშაობა შინაარსისა და მეთოდიკის მიხედვით არაფრით არ განსხვავდებოდა წრეებისა და პოლიტსკოლებისაგან. ნაკლებად უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ პოლიტიკურ სწავლას ხშირად ძალიან სუსტად უკავშირებდნენ მუშათა და კოლმეურნეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას და პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას. კულტურის უნივერსიტეტები მასობრივი პროპაგანდის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფორმა გახდა. მაგრამ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი არ ითვალისწინებს ამას, სუსტად ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას. საკმარისად არ არის გამოყენებული პოლიტიკური განათლებისათვის კითხვა-პასუხის საღამოები ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობით, კინოლექტორიუმები, ზეპირი ჟურნალები და სხვ.

მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში უდარდელად ეკიდებიან ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინურ წრთობას. სემინარები ეწყობა ფორმალურად და არ აძლევს სტიმულს მუშაკებს ღრმად იმუშაონ თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაზე. არიან ხელმძღვანელები, რომლებიც საერთოდ არ სწავლობენ, შეწყვიტეს თავის თავზე მუშაობა, არ კითხულობენ პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, ცუდად ადევნებენ თვალყურს შინაური და საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებს, თავს არიდებენ აღმზრდელობით მუშაობაში მონაწილეობას. კადრების იდეური აღზრდის ნაკლოვანებანი ერთ-ერთი მიზეზია, რომლებიც წარმოშობენ ისეთ ფაქტებს, როცა ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები თვალის ახვევას მიმართავენ, ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას, უგულგულოდ ეკიდებიან მშრომელთა საჭიროებასა და მოთხოვნილებებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელი რიგი პარტიული კომიტეტები და პირველადი ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ პროპაგანდისტთა კადრებთან, პოლიტიკური სწავლის ხელმძღვანელობას ანდობენ ნაკლებად მომზადებულ, პოლიტიკურად მოუმწიფებელ ადამიანებს. ცალკეული პარტიული კომიტეტები ცუდად აწყობენ თეორიულ და მეთოდურ დახმარებას პროპაგანდისტებისადმი. პროპაგანდისტებისათვის მეთოდური დახმარების ნამდვილი ცენტრები ვერ გახდა პოლიტიკური განათლების ბევრი სახლი და კაბინეტი. ნაკლები ყურადღება ეთმობა პროპაგანდისტთა მომზადებას ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, მეცნიერული ათეიზმის, ეთიკისა და ესთეტიკის წრეებისათვის.

ახლა მიმდინარეობს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. გასული წლის შედეგები განხილულ იქნა პარტიული კომიტეტების ბიუროებზე და კომუნისტთა კრებებზე, აგრეთვე იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირებზე. **ფრიად საჭიროა გავითვალისწინოთ შეძენილი გამოცდილება და გამოაშკარავებული ნაკლოვანებანი პოლიტიკური განათლების მოწყობაში, რათა აღარ დავუშვათ ისინი მომავალ სასწავლო წელს.**

სასწავლო წლის დაწყებისათვის გამოცემულია ახალი პროგრამები ყველა ფორმის პოლიტიკური სწავლისათვის; გამოშვებულია ფილოსოფიური ცოდნის საფუძვლების, პოლიტიკური ეკონომიის, მარქსისტული ფილოსოფიისა და საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკის შესწორებული და შევსებული სახელმძღვანელოები. გამოვა სახელმძღვანელოები და სასწავლო წიგნები: სკკპ ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში; მარქსიზმ-ლენინიზმის, პოლიტიკური ცოდნის, კომუნისტური აღზრდის, მეცნიერული ათეიზმის საფუძვლებში, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. ხელახლა გამოიცემა ვ. ი. ლენინის ბიოგრაფია.

საჭიროა კვლავაც გავაუმჯობესოთ მარქსისტულ-ლენინური განათლება, გავაფართოოთ პოლიტიკური განათლების ჩარჩოები, ავამაღლოთ მისი ქმედითობა. კომუნისტთა და უპარტიოთა ყურადღება უნდა მივაპყროთ პარტიის ისტორიის, ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის შესწავლას, რომლებიც კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საფუძველს შეადგენენ. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, **რომ ახალ სასწავლო წელს სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, კონკრეტული ეკონომიკის წრეებსა და სემინარებში და პოლიტიკური განათლების სხვა რგოლებში მათი მუშაობის პროფილის გათვალისწინებით მოეწყობა პარტიის XXII ყრილობის მიერ წამოყენებული თეორიული პრობლემების შემდგომი, უფრო ღრმა შესწავლა.**

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **კადრების ეკონომიური განათლების** გაუმჯობესებას, იმას, რომ მათ შეისწავლონ კომუნიზმის მშენებლობის ეკონომიური პრობლემები. პროფესიულ-ტექნიკური სწავლება და პოლიტიკური სწავლა უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა ყოველმხრივი ეკონომიური მომზადებისათვის, მივაღწიოთ იმას, რომ სკოლების, წრეების და სემინარების, აგრეთვე სხვადასხვა ფორმის პროფესიული სწავლების მსმენელები სწავლობდნენ, თუ როგორ გამონახონ მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლის გზები. მიზანშეწონილია სასწავლო დროის დასახლოებით მესამედი ეკონომიურ წრეებში, სკოლებსა და სემინარებში დაეთმოს იმას, რომ მსმენელებმა შეისწავლონ ეკონომიური ანგარიშება, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საამქროების, ბრიგადების, უბნების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი. ასეთ მეცადინეობათა მოსაწყობად ფართოდ უნდა მივიზიდოთ ეკონომისტები, მეგეგმავები, ბუღალტრები, ბანკის მუშაკები.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა **მოვაწყოთ მუდმივი ეკონომიური სწავლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრებისა:** კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, განყოფილებათა მმართველების, ბრიგადირების, ფერმის გამგეების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებისა. რეკომენდებულია პარტიის რაიკომებთან ან ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოებთან შეიქმნას სპეციალური ეკონომიური სემინარები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ორგანიზაციის და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებთან ერთად ამ სემინარების სასწავლო გეგმებში უნდა შევიტანოთ კომუნისტური მშენებლობის უველაზე აქტუალური პრობლემები, სკკპ თეორიისა და პოლიტიკის საკითხები.

პარტიული კომიტეტები არ უნდა გაიტაცოს წრეების შექმნამ, მათ არ უნდა დაუშვან, რომ ხელაღებით ჩარიცხონ წრეებსა და პოლიტსკოლებში კომუნისტები და უპარტიოები. მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს პოლიტიკური სწავლის დამოუკიდებელი და განსაკუთრებით სემინარული ფორმები. წრეებსა და პოლიტსკოლებში, როგორც წესი, უნდა ეწერებოდნენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ დაუმთავრებელი და არასრული საშუალო განათლება. უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე კომუნისტებისა და უპარტიოებისათვის რეკომენდებულია როგორც პოლიტიკური სწავლის ძირითადი ფორმა, თეორიული სემინარები და კონფერენციები, აგრეთვე რეფერატების მომზადება და განხილვა კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე. საჭიროა მშრომელთა პოლიტიკური, მეცნიერულ-ათეისტური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის ფართოდ გამოვიყენოთ კულტურის უნივერსიტეტები.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, პარტიის სამხარეო კომიტეტებთან, საოლქო კომიტეტებთან, საქალაქო კომიტეტებთან და რაიკომებთან რეკომენდებულია შეიქმნას პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების მუდმივმოქმედი სემინარები. მეცადინეობის დროს უნდა განვიხილოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყველაზე აქტუალური პრობლემები, პარტიული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის, სახალხო მეურნეობის მართვის მოწყობის, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის უნარიანი შეხამების საკითხები. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეკონომიური სკოლები, კურსები, სემინარული მეცადინეობა იმისათვის, რომ გავაფართოოთ ხელმძღვანელი კადრების ცოდნა ეკონომიკის დარგში, ღრმად შევისწავლოთ მოწინავე გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები.

რადგან თანამედროვე პირობებში იზრდება პროპაგანდისტის, როგორც მასების ორგანიზატორისა და აღმზრდელის როლი, პარტიული კომიტეტები და პირველადი ორგანიზაციები **ყოველთვის უნდა ეხმარებოდნენ პროპაგანდისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის, ეკონომიური ცოდნის საფუძვლებისა და ორგანიზატორული მუშაობის ჩვევათა დაუფლებაში.** პროპაგანდისტთა რეზერვის მოსამზადებელი კურსების, აგრეთვე პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების სასწავლო გეგმებში უნდა შევიტანოთ კონკრეტული ეკონომიკის საკითხები, შემოვიღოთ პრაქტიკაში ეკონომიური პრობლემების შემოქმედებითი განხილვა, მოვაწყოთ პროპაგანდისტებთან პრაქტიკული მეცადინეობა უშუალოდ წარმოებაში, მოწინავე მეურნეობებში. ლექციებსა და სემინარულ მეცადინეობაზე რეგულარულად უნდა განვიხილოთ საკითხები, რომლებიც გვიჩვენებენ პროპაგანდისტის, როგორც ორგანიზატორის როლს, განვაზოგადოთ და გავავრცელოთ საუკეთესო პროპაგანდისტების გამოცდილება, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ დანერგონ წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილება, აღზარდონ ახალი ადამიანი.

პარტიული კომიტეტები მუდამ უნდა სრულყოფდნენ მუშაობას პროპაგანდისტთა რეზერვების მოსამზადებლად. ამ მიზნით უკეთ უნდა გამოვიყენოთ სოფლის პროპაგანდისტების დაუსწრებელი კურსების, ქალაქის პროპაგანდისტების მომზადების წლიური კურსების სისტემა, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტები, უმაღლესი სასწავლებლების შესაძლებლობანი.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ **იდეოლოგიური მუშაობის მთელი საშუალებანი მოახმარონ კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპარტიოების იდეური აღზრდის გაძლიერებას, მშრომელთა ძალების დარაზმვას კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის შესასრულებლად.**

ПРАВДА

27 აგვისტო

## ღირსეული შეხვედრა — დიდ ოქტომბერს



[illegible]

## დაწინაურებულნი

[illegible]

თავდადებულ შრომაში დაწინაურდნენ კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც გ. ჩიტიშვილი და ს. აგაბალიანი ხელმძღვანელობენ. ცალკეულ დამგვრელებს შორის ყველას გაუსწრეს გ. ღვედაშვილმა, მ. მუსელიოვმა, ა. ჩხეიძემ, ნ. მაღულარიამ, გ. ცხაკაიამ, მ. სვენტიაევმა, ლ. ფატიკაძემ და სხვ.

## პირველ ადგილზე

[illegible]

## არის 9 თვის დავალება

ხაშურის აგურის ქარხანამ გასულ 7,5 თვეში 5.391 ათასი ცალი აგური გამოუშვა და ამით გადაჭარბებით შეასრულა 9 თვის გეგმა.

ორი წელიწადია ქარხნის სახელოვანი კოლექტივი (დირექტორი ნ. გელაშვილი) არავის უთმობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. ხაშურელი მეაგურეები ახლა პროდუქციას ოქტომბრის ანგარიშში უშვებენ. და წარმატებით იბრძვიან ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, რათა ღირსეული შრომითი საჩუქრები მოუმზადონ დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავს.

**დ. ფარემუზოვი.**

## ახალი პროდუქცია

**ტყიბული.** (საკ. კორ.). შვიდწლედის პირმშომ — გელათის ტრანსფორმატორების ქარხანამ დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავის აღსანიშნავად ამ დღეებში გამოუშვა პირველი პროდუქცია — გაზმნათი ტრანსფორმატორები. ამ სახის მოწყობილობას ფართოდ იყენებენ სარეკლამო განათებისათვის.

აქ მალე დაიწყებენ სხვადასხვა გაბარიტის მქონე საზღვაო ტრანსფორმატორების დამზადებას, რომლებსაც სანაოსნო ხომალდებზე იყენებენ.

# სოფლის ხმა და ძალა

სამასზე მეტი კაცი დაესწრო მუხრანის სასოფლო ყრილობას, რომელიც წელს ივნისში გაიმართა. მას შემდეგ მხოლოდ ორი თვე გავიდა და უკვე ცხადი გახდა, თუ რა დიდი შედეგის მოტანა შეუძლია ჩვენი რიგითი ადამიანების თაოსნობას და მონდომებას. რამდენი საქმის გაკეთება შეიძლება მაშინ, როცა სოფლის ყველა მცხოვრები დაირაზმება და ერთ საერთო მიზანს დაისახავს.

ახლა ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ სასოფლო ყრილობა ნამდვილად არის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში ყველა მშრომელის მონაწილეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა. მაგრამ დავუბრუნდეთ მუხრანში ჩატარებულ ყრილობას. იგი მზადდებოდა სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და მისი აქტივის დახმარებით. სოფლის ყველა მცხოვრებმა წინასწარ იცოდა, რა საკითხებს განიხილავდნენ ყრილობაზე. მუხრანის ცენტრში გაკრული განცხადება იუწყებოდა, რომ 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე შედგებოდა სასოფლო ყრილობა, რომელიც განიხილავდა ორ საკითხს: მუხრანის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს.

ყრილობას ესწრებოდნენ პარტიის მცხეთის რაიკომის მუშაკები, რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეები, პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის და სხვა რაიონული ორგანოების წარმომადგენლები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლები.

ყრილობა გახსნა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ბორდანიშვილმა. საინტერესო იყო სასოფლო საბჭოს კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის პ. მახარაშვილის მოხსენება:

— საქართველოს ერთ-ერთი დიდი სოფელი მუხრანი, — თქვა მან, — თანდათანობით შენდება და მშვენდება, გარდა საზოგადოებრივი შენობებისა, უკანასკნელ წლებში აშენდა ათობით ახალი საცხოვრებელი სახლი, აღდგენილია აბანო, გამშვენიერდა კულტსახლის ეზო, მაგრამ კეთილმოწყობის საქმეში მაინც არის სერიოზული ნაკლოვანებები. რაც მთავარია, ინდივიდუალური ბინათმშენებლობა მიმდინარეობს წინასწარ დაუგეგმარებლად, ზოგი შენობა აგებულია შეუფერებელ ადგილას, ულამაზოდ, ეს ქმნის არქიტექტურულ სიჭრელეს.

სოფელს განაშენიანების გეგმა არა აქვს, კარგად მოწყობილი პურის საცხობები არა გვაქვს. აგერ რამდენი წელიწადია მოსახლეობას აკლია სასმელი წყალი. სანამ წყლის საკითხი მოგვარდებოდეს, საჭიროა მოსახლეობამ გაწმინდოს პრიმიტიული ჭები, უნდა შეკეთდეს არსებული წყაროები, რომლებიც ახლა გაბინძურებულია. მუხრანის ბევრი ქუჩა გაუნათებელია, მოსახლეობის ნაწილი მოკლებულია ელექტროენერგიას. ყურადღება არ ექცევა სოფლის გზებს. ზოგიერთ მოსახლეს მშვენიერი სახლი აქვს, მაგრამ არა აქვს მისასვლელი გზა. მოსახლეობას კი შეუძლია საკუთარი ძალებით გაამშვენიეროს მისასვლელი გზები.

ჩვენ უნდა გვიყვარდეს არა მარტო მშობლიური სოფელი, არამედ ის უბანიც, სადაც ვცხოვრობთ, უნდა ვცდილობდეთ მის გალამაზება-კეთილმოწყობას. ზოგიერთი კი, პირიქით, ხელს უშლის ამ საქმეს. ამ დარბაზში არიან გ. ჯანჯღულაზოვი და ნ. ალავერდოვი, რომლებმაც თავიანთი ეზოები თვითნებურად გადმოწიეს და სოფლის ქუჩა დაავიწროვეს. ისინი მრავალჯერ გავაფრთხილეთ, მაგრამ ამაოდ. უყურადღებოდ არის მიტოვებული ს. დალაქიშვილის, ა. გოგოლაშვილის, ა. ყირმიზოვისა და სხვათა ეზოები, სადაც ერთ ხესაც ვერ იპოვნით.

— ყველას გაგიგონიათ ქართული ანდაზა, სოფელი ლონიერია, თუ კაცი გონიერიაო. ჩვენ გონიერება და ღონე არ გვაკლია. თუ მოვინდომებთ, ყველაფერს გავაკეთებთ, მთებს შევძრავთ. ცოტა ხანში შეგვიძლია ისე გავალამაზოთ და გავამშვენიეროთ მუხრანი, რომ კოპწია ქალაქს დავამსგავსოთ, — დაასკვნა მომხსენებელმა.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის წევრი, ექიმი გ. ესაიაშვილი.

უკანასკნელ ხანს, — თქვა მან, — გაუმჯობესდა მოსახლეობის ეზოების სანიტარული მდგომარეობა, მაგრამ ბევრ კარმიდამოში მაინც სიბინძურეა, ამიტომ ათი ოჯახი დაჯარიმდა სანიტარული წესრიგის უხეში დარღვევისათვის. სიბინძურეს იწვევს წყლის ნაკლებობა. მაგალითისათვის შორს წასვლა არ გვინდა. თვითონ საავადმყოფოს ეზოს წყალი არ გააჩნია. საავადმყოფო მოთავსებულია შეუფერებელ ბინაში, ნესტიანი და ბნელია, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. გვაკლია გინეკოლოგი და ქირურგი. უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე გამოიცვალა ექვსი ქირურგი.

გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათმა კაცმა. ყველამ აღნიშნა, რომ სასოფლო ყრილობების მოწვევა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს პრაქტიკაში, სოფლის მოსახლეობა უნდა დაირაზმოს მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, მშრომელთა შეგნებაში კომუნისტური მორალისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი პატიოსანი დამოკიდებულების დანერგვისათვის ბრძოლაში.

სიტყვებით გამოსულმა ა. კალანდაძემ, ნ. ალავერდოვმა, მ. ამირაშვილმა, ა. ბერდულმა, მ. ავანაშვილმა და სხვებმა შემოიტანეს კონკრეტული წინადადებები განხილული საკითხების გამო.

ყრილობაზე მწვავედ გააკრიტიკეს პავლე გოგოლაშვილი, რადგან მან არ ისურვა მონაწილეობა მიეღო თავისი სახლის წინ მდებარე ქუჩის მოკირწყვლაში, როცა იქ მეზობლები მუშაობდნენ.

ყრილობის დამთავრების შემდეგ პ. გოგოლაშვილმა თქვა: მირჩევნოდა ათჯერ ჯარიმა გადამეხადა, ვიდრე მთელი სოფლის წინაშე გავწითლებულიყავი... ვეცდები როგორმე მოვიშორო სირცხვილი.

ყრილობის მონაწილეებმა გააფრთხილეს ის პირებიც, რომლებიც არღვევენ მოსახლეობის მყუდროებას, აბინძურებენ სასმელ წყალს, ეწევიან სპეკულაციას, უქნარობენ...

ყრილობამ დაამტკიცა საქმიანი წინადადებანი სოფლის კეთილმოწყობისა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. ღონისძიებათა შესრულება იკისრა თვითონ მოსახლეობამ, საზოგადოებრივ [illegible]

სახულ საქმეს. ყრილობამ მოითხოვა, რომ აღნიშნულმა კომისიამ თავისი მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბაროს სოფლის მორიგ ყრილობას, რომელიც მათივე წინადადებით, მიმდინარე წლის სექტემბერში შედგება.

გავიდა ორი თვე. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, როგორ მიმდინარეობს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება.

მუხრანში დიდი გამოცოცხლებაა. წესრიგში მოჰყავთ სოფლის შიდა გზები, სასოფლო საბჭოს მახლობლად კეთდება ლამაზი მოედანი, დამთავრდა ცენტრალური გზის მოასფალტება საბჭოდან კულტურის სახლამდე. მწყობრში ჩადგა პურის საცხობი, გაიწმინდა სოფლის არხები და გაბინძურებული წყაროები, გალამაზდა და გასუფთავდა ეზოები, ამ შემოდგომაზე დაირგვება ათასობით მწვანე ნარგავი... ყველაფერი ეს კეთდება მოსახლეობის შრომითა და მხარდაჭერით.

საინტერესოდ ჩატარდა სასოფლო ყრილობა სოფელ ძეგვშიც. სასოფლო ყრილობები მზადდება ძალისში, ქსოვრისში.

ჩვენ უკვე გვაქვს მუშაობის ამ ახალი ფორმის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება, რომელიც ადასტურებს, რომ სასოფლო ყრილობა სავსებით ამართლებს დანიშნულებას, იგი მოსახლეობაში ნერგავს საკუთარი ძალების რწმენას, ამაღლებს მათს პასუხისმგებლობას საზოგადო საქმისადმი, აქტიურებს თვითეულ ადამიანს სასარგებლო შრომაში. საჭიროა ყრილობები მოვამზადოთ გულდასმით. ამაში საბჭოებს გარდა, თავისი წვლილი უნდა შეიტანონ სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმაც.

გარდა სოფლის კეთილმოწყობისა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისა, სასოფლო ყრილობებზე შეიძლება განვიხილოთ მთავრობის ახალი კანონები და ბრძანებულებანი, სახალხო განათლების, ბავშვთა აღზრდის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ვაჭრობის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის და სხვა საკითხები.

დიდ სარგებლობას მოიტანს, თუ სასოფლო ყრილობები პერიოდულად განიხილავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების აქტუალურ საკითხებსაც.

სასოფლო ყრილობებმა საყურადღებო ზეგავლენა უნდა მოახდინონ იმათზე, ვინც განზე უდგას საზოგადოებრივ ცხოვრებას და თავისი ქცევით არცხვენს პატიოსან კოლმეურნეებს, ვინც აფართოებს პირად მეურნეობას. ყრილობის მონაწილეებმა უნდა მოითხოვონ მათ მიმართ მკაცრი ზომების მიღება, სასოფლო საბჭოს აღმასკომებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ საკარმიდამო ნაკვეთები.

აუცილებელია ისი წარმართოთ საქმე, რომ სასოფლო ყრილობის გადაწყვეტილება ნამდვილად იყოს კანონი, რომლის შესრულება სავალდებულო იქნება ყველასათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყრილობის შემდეგ, როგორც წესი, დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ვეწეოდით მისი დადგენილების შესასრულებლად.

როგორც მუხრანის, ასევე ძეგვის სასოფლო ყრილობებზე მოსახლეობა დიდი გულისტკივილით ლაპარაკობდა იმაზე, რომ სოფლებს არა ჰყოფნით ანდა [illegible] ლობას არაერთგზის დაუყენებია საკუთარი სახსრებით წყლის გამოყვანის საკითხი, ჩვენი აზრით საჭიროა სახელმწიფო ორგანოებმა გაითვალისწინონ იმ წყალსადენების საჭიროებანი, რომლებიც გაყვანილ იქნება საზოგადოებრივ საწყისებზე, მოსახლეობის სახსრებით. ამის საშუალება მოსახლეობას აქვს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალი წყალსადენებისათვის საჭირო საშენი მასალების დამზადება შეიძლება უშუალოდ ადგილებზე. მცხეთაში, მაგალითად, შეიძლება თიხის მილებისა და სხვა მასალების დამზადება.

კოლმეურნეები უსაყვედურებენ ჩვენს არქიტექტორებს. ყრილობებზე აღინიშნა, რომ სოფლებს არ გააჩნიათ განაშენიანების გენერალური გეგმები, ძნელი საშოვარია ლამაზი და მოხერხებული საცხოვრებელი სახლის პროექტები, ამის შედეგად სოფლები იზრდება უშნოდ, ულამაზოდ. არქიტექტორებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ახალი სოციალისტური ტიპის ქართული სოფლების დაგეგმარების საქმეში.

სასოფლო ყრილობების მონაწილეები სამართლიანად მოითხოვდნენ, რომ კოოპერაციამ გააფართოოს სოფლად ნაჭარბი პროდუქციის შესყიდვა. ისეთ სოფლებში, როგორიც არის მუხრანი, ქსოვრისი და ძალისი, კოლმეურნეებს ბევრი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უგროვდებათ, რის გაყიდვა ახლოს არ შეუძლიათ და იძულებული არიან ამ საქმეზე თბილისში ან სხვა ქალაქებში იარონ. ეს იწვევს მუშახელის მოცდენას, პროდუქტების დანაკარგებს.

სასოფლო ყრილობების მიერ აღძრული ეს საკითხები უნდა მოგვარდეს.

**გ. მეძღლიშვილი,**
მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

## მთის წიაღიდან...

**ონის** რაიონში, სოფელ ჩორდის მახლობლად, ლესორის მთის წიაღში მდებარეობს ბარიტის მეტად მდიდარი საბადოები, რომლის ამოღება განუწყვეტლივ იზრდება. მოპოვებული ბარიტი სამკილომეტრიანი საჰაერო საბაგირო გზით გადააქვთ გამამდიდრებელ ფაბრიკაში. წარმოების გაზრდასთან დაკავშირებით ახლა ჩორდში მიმდინარეობს ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის და მთელი რიგი ახალი შახტების მშენებლობა.

**სურათზე:** ბარიტის გადაზიდვა საჰაერო საბაგირო გზით.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქტაგის ფოტოქრონიკა).



## პროპაგანდისტთა სემინარი

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლში მუშაობა დაამთავრა ოლქის პროპაგანდისტთა გადასამზადებელმა კურსებმა, რომელიც 200 პროპაგანდისტმა გაიარა.

კურსებზე მეცადინეობა ორ ნაკადად მიმდინარეობდა. პირველ ნაკადში კურსები გაიარეს მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ისტორიის, მიმდინარე პოლიტიკის წრეებისა და თეორიული სემინარებისა და პოლიტწრეების ხელმძღვანელებმა.

მეორე ნაკადი გაიარეს კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სკოლების, წრეების და სემინარების ხელმძღვანელებმა.

კურსებზე ლექციებს კითხულობდნენ პარტიის საოლქო კომიტეტის, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედინსტიტუტის და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ლექტორები.

პროპაგანდისტებისათვის მოეწყო ექსკურსიები ცხინვალის ელექტროგაზრომანქანების ქარხანაში, საოლქო მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ერედვის საყრდენ-საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობაში.

**ვ. მელქოვი.**

## კულტურის ქრონიკა



# მსოფლიოს სამ უდიდეს სცენაზე

### სსრ კავშირის დიდი თეატრი ახალ სეზონზე

[illegible] ...იყო დასის შეკრების დღე. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ დარბაზში შეიკრიბნენ სოლისტები, რეჟისორები, დირიჟორები, ორკესტრანტები, გუნდის მომღერლები, დამხმარე სამქროთა მუშაკები. გაისმის ზარი, სწორედ ის, რომელიც ჩვეულებრივ მაყურებლებს დარბაზში იწვევს, ხოლო მსახიობებს — სცენაზე, თეატრის ხელმძღვანელი ესაუბრება კოლექტივს, მომავალ 187-ე სეზონზე. როგორი იქნება იგი?

#### სამუშაო დღეები, დღესასწაულებს რომ წარმოშობენ

— დღეს ყველანი ვხვდებით ერთმანეთს ჩვენს სახლში — დიდ თეატრში, — თქვა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მთავარმა რეჟისორმა ბ. პოკროვსკიმ. — ეს ჩვეულებრივი სამუშაო დღეების დასაწყისია, რომელიც წარმოშობს დღესას-[illegible]

[illegible] ...რის უახლოესი გეგმები. სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე ნაჩვენები იქნება ვერდის ოპერა „ფალსტაფი“, დარგომიჟსკის ოპერა „ალი“ და ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი“. ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავს“ და პროგრამას საბჭოთა კომპოზიტორების ერთმოქმედებიანი ბალეტებიდან ამზადებს საბალეტო დასი.

მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც უნდა გავაკეთოთ.

#### ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდ სცენაზე

სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სეზონის დაწყების ორი კვირის შემდეგ მეორე სეზონი გაიხსნება ჩვენი ქვეყნის უდიდეს სცენაზე — კრემლის ყრილობათა სასახლეში. აქ პირველი სპექტაკლი იქნება „ივანე სუსანინი“.

ყრილობათა სასახლის სცენა დაეთმობა ლენინგრადის მცირე ოპერის თეატრს, კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრს, ამერიკის საბალეტო დასს ჯ. ბალანჩინის ხელმძღვანელობით და მსახიობთა ბევრ სხვა კოლექტივს.

#### „დიდი ბალეტი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში

სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის საბალეტო დასი მოსკოვში როდი გახსნის სეზონს. 6 სექტემბერს იგი სეზონს ხსნის „მეტროპოლიტენოპერის“ სცენაზე ნიუ-იორკში ჩაიკოვსკის ბალეტით „გედის ტბა“. ბალეტის 120 მსახიობი მეორედ გაემგზავრება საგასტროლოდ ჩრდილოეთ ამერიკაში.

გასტროლები სამ თვეს გასტანს — იგი გაიმართება ათობით ქალაქში: ფილადელფიასა და ლოს-ანჯელოსში, სან-ფრანცისკოსა და ჩიკაგოში, დეტროიტსა და კლივლენდში, ვაშინგტონსა და ბოსტონში. რეპერტუარშია ჩაიკოვსკის „გედის ტბა“, ადანის „ჟიზელი“, ხაჩატურიანის „სპარტაკი“, ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამო, საკონცერტო პროგრამა, [illegible] ბიან, საგასტროლო სპექტაკლების ყველა ბილეთი დიდიხანია გაიყიდა.

**ტ. სტრიკოვსკაია.**
(საკდესის კორესპონდენტი).

## წიგნის მოყვარულთა კარგი თაოსნობა

რომნი, (საკდესი). დაბა ნედრიგაილოვის წიგნის მოყვარულებმა საზოგადოებრივი სარგებლობისათვის გადასცეს პირადი ბიბლიოთეკები. ამგვარად შეიქმნა სადაბო ბიბლიოთეკის ერთგვარი ფილიალი, რომელსაც მრავალმა მწერალმა გაუგზავნა თავისი წიგნი.

„ახალი, მშვენიერი მოძრაობის შამაც ინიციატორებს მთელი გულით. ავტორი“ — ასეთი წარწერა გაუკეთებია ვერა კეტლინსკაიას თავის წიგნზე „ვაჟკაცობა“. ლექსების კრებული ნაჩუქრობის წარწერით ბელორუსულ ენაზე გამოგზავნა პოეტმა მაქსიმე ტანკმა. აქვეა ნაწარმოებები მ. რილსკისა და პ. ანტოკოლსკის, ვანდა ვასილევსკაიასი და სხვ.

## ზღვის პირას, სუფთა ჰაერზე

[illegible]



**სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ): ლენინგრადელი მშენებელი ტექნიკოსი ნადია სმირნოვა, მოსკოველი ინჟინერი ანია შმოევსკაია, ლენინგრადელი მოდელიორი ტანია კორკლინა.

ფოტო მ. ტარასოვისა.

# ზრდის გზაზე

### ახალგაზრდა მოქანდაკის სახელოსნოში

თბილისის სურათების გალერეაში ამ ცოტა ხნის წინათ მოეწყო ახალგაზრდა ფერმწერთა, გრაფიკოსთა, მოქანდაკეთა ნამუშევრების გამოფენა. ვნახეთ ბევრი საყურადღებო ნამუშევარი.

ახლა კი გვინდა ვისაუბროთ მოქანდაკე თეიმურაზ დევდარიანის შემოქმედებაზე.



„შრომაში მეგობრები“, — ასე ეწოდება ერთ-ერთ ნამუშევარს. იგი მოგვითხრობს რუსი და ქართველი ადამიანების მეგობრობაზე. ქართველი მაღაროელი და რუსი მეტალურგი ერთმანეთს ესაუბრებიან.

ქანდაკება კომპოზიციით ორფიგურიანია. ავტორს კარგად მოუნახავს ბუნებრივი პოზა, ორი მოწინავე მშრომელის დამახასიათებელი სახე და სულიერი სიძლიერე. ეს ქანდაკება დინამიკურ გამაშია გადაწყვეტილი. გრძნობთ მეტალურგისა და მაღაროელის დაუშრეტელ ენერგიას. ამაზე მეტყველებს ფიგურის მონუმენტურობა, ძალოვანი კუნთები, სახის იერი.

თ. დევდარიანის ახალ ნამუშევართა შორის გამოირჩევა „ლითონის კონსტრუქციების ქართველი ამწყობი“, „იმერელი მევენახე“, „ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი ქალი“, „ქართველი ბალერინა“ და „უზბეკი გოგონა“.

ახალგაზრდა მოქანდაკის შთაგონების წყაროდ იქცა ქართული ქორეოგრაფიის ოსტატების შემოქმედება. მან ახლახან შექმნა ქართველი ბალერინის პორტრეტი. ამჟამად კი გამოჩენილი მოცეკვავის ვახტანგ ჭაბუკიანის პორტრეტის გამოძერწვაზე ფიქრობს.

შრომა და სწავლა, უფროსი თაობის მემკვიდრეობის შემოქმედების ათვისება — აი რა დაუსახავს ახალგაზრდა მოქანდაკეს თავის დევიზად.

**ს. ნაციაშვილი.**

• • •

**სურათზე:** მოქანდაკე თ. დევდარიანის ნამუშევარი „რუსი მეტალურგი და ქართველი მაღაროელი“.

# თვითკმაყოფილებას სინანული მოსდევს

„დინამო“ (თბილისი) — „ბელარუსი“ (მინსკი) — 3 : 2 (3 : 0). თბილისი. 28 აგვისტო. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

„დინამო“ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი (ბარქაია), გ. სიჭინავა, კალოევი, მელაშვილი, მესხი; „ბელარუსი“ — დენისენკო, რემინი, უსოტორე, სავოსტიკოვი, უკოვი, ნეკოზირევი, მოზერი (იარომკო), პოგალნიკოვი, მუსტიგინი, ვიქტორ კონოვალოვი, ბოროზნა.

□

**მინსკის** „ბელარუსი“ „ა“ კლასის ფეხბურთელთა იმ კოლექტივების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც წინასწარი შეხვედრების დასკვნით ეტაპზე წარმატებით იბრძვიან და „ოქროს ექვსეულზე“ პრეტენზიას აცხადებენ. მართლაც, თუ პირველ წრეში ჩვენს სტუმრებს აუტსაიდერთა რიგებში ვხედავდით, მათ თანდათანობით ძალა მოიკრიბეს და მე-13 ტურისათვის უკვე ლიდერთა რიგებში ჩადგნენ. ეს საპატიო ადგილი „ბელარუსმა“ კიდევ ორ ტურში შეინარჩუნა, მაგრამ შემდეგ გზა ბაქოს „ნეფტიანიკს“ დაუთმო.

გუშინ „ბელარუსი“ ჩემპიონატის გზაჯვარედინზე იდგა. მეორე ქვეჯგუფის გათამაშების ცხრილს სწორედ ეს გუნდი და „პახტაკორი“ ყოფდნენ ორ ნაწილად „ოქროს ექვსეულად“ და მომდევნო ხუთეულად.

ამ გარდამავალ ეტაპზე გუშინდელ შეჯიბრებას მინსკელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამჯერად წარუმატებლობა გუნდისათვის მომაკვდინებელი იყო. ამიტომ კოლექტივი მოედანზე გამოვიდა ძალთა მობილიზებით, მთელი პასუხისმგებლობით.

დინამოელთა განწყობილებაც საბრძოლო იყო, მათაც სჭირდებოდათ გამარჯვება, თუნდაც ქულათა საერთო რაოდენობის პოზიციის განმტკიცებისათვის, თუ გნებავთ პირველი წრის რევანშისათვის.

ყოველივე ამან ბრძოლას სათანადო ელფერი მისცა — თამაში დაძაბული, ტემპიანი, ეფექტური იყო. დინამოელთა თავდამსხმელებს მეტოქის კარის მისადგომებზე მოქმედების მეტი საშუალება ჰქონდათ, ვიდრე სტუმრებს, რასაც ხელს უწყობდა იამანიძისა და გ. სიჭინავას გააზრებული თამაში.

პირველი ტაიმი დინამოელებს, კერძოდ მცველებს, რომლის დირიჟორი ჩოხელი იყო, აკადემიურ თამაშად ჩაეთვლებათ. ეს იგრძნობოდა ანგარიშითაც — 3 : 0.

მე-19 წუთზე მარცხენა ფლანგზე იამანიძისა და მესხის კომბინაციის შემდეგ წინ გაიჭრა იამანიძე, მაგრამ კარის აღების მომენტში მას სარმით გაუმასპინძლდნენ. — პენალტი. დაზარალებულმა ანგარიში გახსნა.

სტუმართა გააფთრებულ კონტრთამაშს, რომელიც ზოგჯერ უხეშობად იქცეოდა, მათთვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. პირიქით, კვლავ მესხისა და იამანიძის კარგი ურთიერთ თამაშის შემდეგ 29-ე წუთზე იამანიძის შესანიშნავი დარტყმა გოლით დაგვირგვინდა. ეფექტური იყო აგრეთვე 38-ე წუთზე მესხის მიერ გატანილი მესამე ბურთი.

შესვენების შემდეგ მაყურებლები სულ სხვა თამაშის მოწმენი იყვნენ. მასპინძელთა ბრძოლა აშკარად მდორე, უინტერესო გახდა, თავი იჩინა თვითკმაყოფილებამ, მატჩის ადვილად მოგების განწყობილებამ. თავდამსხმელებმა თავი აარიდეს ზედმეტ დატვირთვას, ნახევარმცველები მოიქანცნენ და მთელი ჯაფა მცველებს დააწვათ. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო სიურპრიზები, და აი ისინიც. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე დინამოელთა კარში ორი საპასუხო ბურთი აღმოჩნდა თითქმის ზედიზედ. პირველი ბურთის გაშვებაში სცოდავს კოტრიკაძე, მეორეში — ხურცილავა, მ წააგო ორთაბრძოლა მეტოქესთან. გოლების ავტორები იყვნენ კონოვალოვი და მუსტიგინი.

დინამოელები საფრთხის წინაშე იდგნენ, მაგრამ დრო ამოიწურა.

გუნდის ხელმძღვანელობა სინანულს გამოთქვამს მატჩის ასეთი ფინალისათვის. იგი ალბათ კარგი გაკვეთილი იქნება მომავლისათვის. დინამოელებმა უნდა შეიგნონ, რომ გატანილი ბურთების რა მარაგიც არ უნდა ჰქონდეთ მათ ამა თუ იმ მატჩში, საჭიროა ბრძოლა მთელი სერიოზულობით, მონდომებით უკანასკნელ წუთამდე.

**ვ. გაბელია.**

• • •



**სურათზე:** „დინამოსა“ და „ბელარუსის“ მატჩის ერთ-ერთი მომენტი. გარღვევაზე გასული იამანიძე მოწინააღმდეგემ საჯარიმო მოედანზე „მოცელა“, აი მას ხედავთ კართან ახლოს წაქცეულს, რისთვისაც მსაჯმა ვ. ბარაშკოვმა სრულიად სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## გუშინ ფეხბურთის მოედნებზე

**გუშინ** ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურის მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის.

პირველი ქვეჯგუფი

**ალმა-ატაში** თამაშობდნენ ადგილობრივი „კაირატისა“ და რიგის „დაუგავას“ გუნდები. მატჩის შედეგია ფრე — 0:0.

მეორე ქვეჯგუფი

**ხარკოვში** ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი მოსკოვის „სპარტაკი“ შეხვდა ხარკოვის „ავანგარდს“ და შეჯიბრება ფრედ — 0 : 0 დამთავრდა.

**ლენინგრადში** ადგილობრივ დინამოელებს სპორტული პაექრობა ჰქონდათ დედაქალაქის „ტორპედოსთან“. შეხვედრა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით 4:2.

**ბაქოში** მრავალი მაყურებელი დაესწრო ტაშკენტის „პახტაკორისა“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ გუნდების შეჯიბრებას. ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო გოლის გატანა, აქაც ფრე — 0:0.

**კუიბიშევში** ქუთაისის ტორპედოელები შეხვდნენ „კრილია სოვეტოვს“ და განიცადეს დამარცხება — 0:3.

## კომუნისტის სპორტი

### გათამაშების ცხრილი

მეორე ქვეჯგუფი

მდგომარეობა 29 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბ.) | 16 | 8 | 5 | 3 | 25—14 | 21 |
| „დინამო“ (მ.) | 15 | 8 | 4 | 3 | 22—12 | 20 |
| „ტორპედო“ (მ.) | 15 | 8 | 4 | 3 | 36—16 | 20 |
| „სპარტაკი“ (მ.) | 15 | 8 | 3 | 4 | 32—17 | 19 |
| „ნეფტიანიკი“ (ბ.) | 17 | 5 | 7 | 5 | 23—20 | 17 |
| „პახტაკორი“ (ტ.) | 16 | 5 | 7 | 4 | 17—18 | 17 |
| „ბელარუსი“ (მნ.) | 16 | 5 | 3 | 8 | 14—18 | 13 |
| „ავანგარდი“ (ხ.) | 16 | 5 | 3 | 8 | 13—23 | 13 |
| „დინამო“ (ლ.) | 16 | 4 | 4 | 8 | 11—32 | 12 |
| „კრ. სოვ.“ (კუიბ.) | 16 | 4 | 3 | 9 | 18—26 | 11 |
| „ტორპედო“ (ქ.) | 16 | 3 | 5 | 8 | 17—32 | 11 |

### ვეტერანთა მატჩი

ბორჯომის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა“ და ბორჯომის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები.

ბორჯომელებმა დინამოელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. დასაწყისშივე მასპინძელთა გუნდის კაპიტანმა ი. მეტრეველმა დინამოელთა კარში, რომელსაც პირაევი იცავდა, პირველი გოლი გაიტანა.

მაგრამ ოსტატობამ თავისი გაიტანა. დინამოელებმა კონტრშეტევით უპასუხეს და შეჯიბრების დამთავრებამდე ბორჯომელთა მეკარე სამჯერ აიძულეს გამოეტანა ბურთი საკუთარი კარიდან.

მატჩის შედეგია 3:1 დინამოელთა სასარგებლოდ.

დინამოელ ვეტერანთა რიგებში თამაშობდნენ ზაზროშვილი, ჭკუასელი, შუდრა და სხვ.

**ო. სტაუაძე.**

### მესამე ადგილზე

**ორჯონიკიძეში** დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში. პირველ ადგილზე გამოვიდა რსფსრ გუნდი. მომდევნო ადგილები დაიკავეს მოსკოვისა და საქართველოს გუნდებმა.

**საქართველოს** სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა თავისი არსებობის მცირე ხნის მანძილზე გამოსცა რამდენიმე ფუნდამენტალური ნაშრომი.

# „ვისრამიანის“ ახალი გამოცემა

### წიგნები და მკითხველები

ახლახან ჩვენმა საზოგადოებრიობამ მიიღო ქართული „ვისრამიანის“ ახალი აკადემიური გამოცემა, რომელიც მომზადებულ იქნა ახალგაზრდა ირანისტების ალექსანდრე გვახარიასა და მაგალი თოდუას მიერ. წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი გიორგი წერეთელი.

ნაშრომი შეიცავს შესავალს, საკუთრივ ტექსტს, გამოკვლევას, ვარიანტებს, ლექსიკონსა და საძიებელს.

შესავალ წერილში მიმოხილულია სპარსული „ვის ო რამინის“ ავტორის ვინაობის, პოემის სიუჟეტის, სადაუროობისა და მისი დაწერის თარიღთან დაკავშირებული საკითხები. მკვლევართ აინტერესებს ყველა ის პრობლემა, რომელიც ამ პოემის ირგვლივ წამოჭრილა მისი შესწავლის ისტორიის მთელ მანძილზე. აქვე განხილულია ქართული „ვისრამიანის“ შესწავლასთან დაკავშირებული საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექსტის სამი ადრინდელი გამოცემისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, კერძოდ ცნობილი მეცნიერების ნ. მარის, ალ. ხახანაშვილის, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძისა და სხვათა ნაშრომებს. გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება სპარსული პოემის ავტორის სახელის ქართული ფორმის ეტიმოლოგიის შესახებ.

შემდეგ წარმოდგენილია „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის ტექსტი, რომელიც ემყარება სამი ადრინდელი გამოცემისა და ოცდაერთი ქართული ნუსხის მონაცემებს და თავიდან ბოლომდე შედარებულია სპარსული დედნის სამივე გამოცემასთან. ასეთი სახის სამუშაო „ვისრამიანის“ ქართული ტექსტის დასადგენად დღემდე არ ჩატარებულა.

საყურადღებოა ისიც, რომ მკვლევართა მიერ გამოყენებულ იქნა არჩილისეული გალექსილი „ვისრამიანი“, რომელიც, როგორც ირკვევა, ემყარება ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებზე ადრინდელ და მეტად სანდო ნუსხას. გარდა ამისა, მათ არ გამორჩენიათ როგორც სპარსული, ისე ქართული „ვისრამიანის“ რუსულ და ევროპულ ენებზე შესრულებული თარგმანები.

ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საფუძვლიანი გამოკვლევა (314 გვერდი), რომელშიც ნათლად გამოჩნდა ახალგაზრდა მკვლევართა მეცნიერული ალღო. გამოკვლევაში დასაბუთებულია მათ მიერ ტექსტში შეტანილი 363 ძირითადი გასწორება, გამოთქმულია 44 სავარაუდო გასწორების მოსაზრება და მითითებულია 18 მცდარი გაგება, რომელსაც ქართულ თარგმანში აქვს ადგილი. ტექსტის ძირითადი გასწორებანი მეტ წილ შემთხვევებში განპირობებულია სპარსული დედნის მონაცემებით, როდესაც ამას ქართულ ხელნაწერთა ვარიანტული წაკითხვები ადასტურებს, ანდა ტექსტის აზრობრივი გამართვის აუცილებლობა მოითხოვს.



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ალ. გვახარიასა და მ. თოდუას მიერ ქართული „ვისრამიანის“ სპარსულ პოემასთან სიტყვა სიტყვით შედარებით აღმოჩნდა, რომ ქართული რომანი სპარსული „ვის ო რამინის“ თავისუფალი თარგმანი კი არ არის, არამედ ზუსტი მხატვრული თარგმანია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართული ტექსტის დასადგენად სპარსულ დედანს მიენიჭა ქართულ ხელნაწერთა და გამოცემათა ადეკვატური მნიშვნელობა. ზემოთქმულის შედეგად სპარსული „ვის ო რამინის“ ტექსტი მკვლევართათვის ამოსავალ წყაროდ იქცა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართული თარგმანის სიზუსტე კი არ ამცირებს მის ლიტერატურულ ღირებულებას, არამედ შემოქმედების უფრო მაღალ კვარცხლბეკზე აჰყავს ქართველი მთარგმნელის საოცარი ტალანტი. არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში, როდესაც თარგმნა უმეტესად თავისუფალ გადმოკეთებას უდრიდა, ქართველი მთარგმნელის ზუსტი, მაგრამ უაღრესად მაღალმხატვრული თარგმანი ქართული მწერლობის ერთ-ერთ შედევრად იქცა. ამის დამადასტურებელია ის დიდი პოპულარობა, რომელიც მას საქართველოში ხვდა წილად საუკუნეთა მანძილზე.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სპარსული „ვის ო რამინის“ ჩვენამდე შემონახული ყველა ხელნაწერი უფრო გვიანდელი ხანისაა, ვიდრე მისი ქართული თარგმანი, თვალსაჩინო ხდება ამ უკანასკნელის დიდი მნიშვნელობა თვით სპარსული ტექსტის დადგენისა და შესწავლის საქმეში. ეს საკითხი ადრევე დაისვა მეცნიერთა წინაშე, ხოლო სპეციალურად იქნა შესწავლილი აკადემიკოს ალ. ბარამიძისა და აწ განსვენებულ პროფესორ ი. აბულაძის მიერ. ალ. გვახარიასა და მაგალი თოდუას დამსახურება ის არის, რომ მათ მთელი ძეგლის მანძილზე აღნუსხეს და სისტემაში მოიყვანეს ყველა ის მომენტი, რომლებიც საგრძნობლად უწყობენ ხელს „ვის ო რამინის“ სპარსული ტექსტის შესწავლისა და დადგენის საქმეს. ამ მხრივ მათ გამოკვლევაში ცალკე თავად წარმოდგენილი „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის მნიშვნელობა სპარსული ტექსტისათვის“ საკმაოდ დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს.

წიგნს დართული აქვს ვარიანტები (სადაც მთელი სისრულით არის წარმოდგენილი ქართული ხელნაწერების ყველა ვარიანტული წაკითხვა), საძიებელი და ლექსიკონი. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა ამ უკანასკნელის უფრო განვრცობა, ვინაიდან „ვისრამიანის“ უმდიდრესი ლექსიკა არამც თუ ვრცელ ლექსიკონს, არამედ ამომწურავ სიმფონია-ლექსიკონსაც მოითხოვს.

**ვახუშტი კოტეტიშვილი.**

# მოზაიკის მარადიული ფერებით

### 1812 წლის სამამულო ომისადმი მიძღვნილი პანოები

ლენინგრადი, 25 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის მოზაიკურ სახელოსნოში დამთავრდა მუშაობა მონუმენტური მოზაიკური პანოების შესაქმნელად, რომლებიც ასახავენ რუსი ხალხის დიდ გმირობას 1812 წლის სამამულო ომში.

პანოები, რომელთა საერთო ფართობი 100 კვადრატულ მეტრს აღემატება, შექმნილია მონუმენტალისტი მხატვრის ბ. ა. ტალბერგის ესკიზების მიხედვით.

კომპოზიციის ცენტრშია დიდი რუსი მხედართმთავრის მ. ი. კუტუზოვის პორტრეტი. წარმოსახულია ბოროდინოს ბრძოლის ეპიზოდები: იერიში მიაქვთ ჯარებს, ცეცხლს უშენს არტილერია. ერთ-ერთ ფლეშთან მძიმედ დაჭრილი გენერალი პ. ი. ბაგრატიონია.

## უკანასკნელი საათის

### „ელექტრომონტიორები“ თავხედდებიან...

**ნიუ-იორკი,** 28 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იუწყება:

უცნობი პირები თავს დაესხნენ საბჭოთა გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ საკორესპონდენტო პუნქტს. ამ გაზეთის ნიუ-იორკელმა კორესპონდენტმა ა. ლაურინჩუკასმა, როცა სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნდა, ნახა, რომ საკორესპონდენტო პუნქტში მისი არყოფნის დროს ვიღაც ყოფილა.

პოლიციელები, რომლებიც კორესპონდენტის გამოძახების გამო მოვიდნენ, დაჰპირდნენ, რომ „საქმეს გადასცემენ დეტექტივებს“ და ურჩიეს დაელოდოს, როცა ისინი წააწყდებიან „მძარცველთა“ კვალს.

ისევე როგორც მაშინ, როცა თავს დაესხნენ „პრავდის“ საკორესპონდენტო პუნქტს, „უცნობები“ ადვილად შევიდნენ გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ საკორესპონდენტო პუნქტში: კარის კლიტე არ გაუტეხიათ, იგი გასაღებით იყო გაღებული. ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა „უცნობები“ ამგვარად შედიან საბჭოთა გაზეთების საკორესპონდენტო პუნქტებში ნიუ-იორკში. ასეთივე ფაქტები მოხდა გაზეთ „პრავდის“ და „ეკონომიჩესკაია გაზეტას“ საკორესპონდენტო პუნქტებში.

შედარებით ამ ცოტა ხნის წინათ „ეკონომიჩესკაია გაზეტას“ კორესპონდენტის მეუღლემ საკორესპონდენტო პუნქტში ნახა უცნობი, რომელმაც თავი ელექტრომონტიორად გაასაღა. კითხვაზე — როგორღა შეაღწია „ელექტრომონტიორმა“ დაკეტილ ბინაში, იგი ირწმუნებოდა, რომ კარი „ღია იყო“. როცა „ელექტრომონტიორს“ წინადადება მისცეს — რამდენადაც იგი უკვე გამოცხადდა — შეეკეთებინა შტეპსელი, მან ეს ვერ მოახერხა და დაიმოწმა ინსტრუმენტების უქონლობა...

უკვე ვაუწყებდით, რომ საბჭოთა კორესპონდენტები ნიუ-იორკში მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. უნდა ითქვას, რომ იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტო ცდილობდა გამოერკვია, თუ ვის ეკუთვნის ცისფერი „პლიმუტი“ ნიუ-იორკის შტატის ნომრით 5 (და (ლათინური ასო უ), 9.503, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ერთი კვირის განმავლობაში კვალდაკვალ დასდევდა „პრავდის“ კორესპონდენტს. მუნიციპალიტეტში გვიპასუხეს, რომ ეს საიდუმლოა.

# „საქართველოს კომუნისტი“ № 8

**გამოვიდა** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — კადრებთან მუშაობა კომუნისტური მშენებლობის წარმატების პირობაა; უიარაღო და უომო მსოფლიოსათვის; **ფ. ლომაშვილი** — ოქტომბრის დიადი გამარჯვების მომზადების ყრილობა; **ნ. ჩირქეზიშვილი** — იდეური წრთობა კომუნისტური აღზრდის საფუძველია; **ნ. ალანია** — დიდი ქართველი მწერალი (დავით კლდიაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო).

**ლექციისა და კონსულტაციის** განყოფილებაში მოთავსებულია: **გ. აფრიდონიძე** — სოციალისტური რევოლუციის განხორციელების მშვიდობიანი და არამშვიდობიანი გზა.

განყოფილებაში **საერთაშორისო თემაზე** გამოქვეყნებულია: **ო. ცქიტიშვილი** — ალჟირელი ხალხის დიდი გამარჯვება.

**პარტიული ცხოვრების** განყოფილებაში წარმოდგენილია: **ე. სალუქვაძის** — მომავლის ადამიანის აღზრდა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა; **ა. ჩავლეიშვილი, ვ. გოგოლაშვილი** — ტერიტორიული საწარმოო სამმართველო და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა; **ვ. ფერაძე** — ახლებურად მუშაობის პირველი შედეგები.

ჟურნალში აგრეთვე დაბეჭდილია **ჟურნალებისა და გაზეთების მიმოხილვის** განყოფილების მასალა და **პარტიული ქრონიკა.**

## რადიო

30 აგვისტო

პირველი პროგრამით

08.30 — შოპენის საფორტეპიანო ნაწარმოებები, 09.20 — ნოვიკოვისა და ლევიტინის ნაწარმოებები, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — დები იმხნელების კონცერტი, 11.00 — საუბარი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე, 11.15 — რუსული საბჭოთა ოპერების ფურცლებზე, 12.15 — პოლკები, 12.45 — სიმღერები ვაჟთა ვოკალური კვარტეტის შესრულებით, 13.40 — გრიგი. სონატა მი-მინორი, 17.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.05 — კონცერტი ციკლიდან — „იცნობდეთ“, 18.45 — ლილი იაშვილის სიმღერები, 19.15 — ბრამსის კამერული ნაწარმოებები, 19.30 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი დღეების გმირები“, 20.20 — გადაცემა ციკლიდან — (თეატრი მიკროფონთან).

მეორე პროგრამით

20.20 — საუბარი: „პარტიის პროგრამა ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარებაა“, 20.35 — კონცერტი დ. შოსტაკოვიჩის ნაწარმოებებიდან, 21.20 — ფრენკ რუნის მოთხრობა „მოტოციკლისტთა თავდასხმა“, 22.10 — მ. დობსისა და პ. რობსონის კონცერტი, 22.40 — საცეკვაო მუსიკა.

## კინო

29 აგვისტო

**რუსთაველის სახელობის, ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გაზაფხული** — შვიდ ქარზე, **ნაკადული** — ხალხთა სასამართლო, **ისანი** (საზაფხულო) — ბრალდების მოწმე, **თბილისი** — როკო და მისი ძმები (I-II სერია), **კომკავშირელი** — სავანა და ჯუნგლები, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკური სახლი** — ალსარებ, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **დიდუბე** (საზამთრო), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — პროფესორი მამლოკი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი)—ოპერაცია „იოდი“, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — კაბირიას ღამეები, **საქართველო** (საზაფხულო) — გზა ნავმისადგომისაკენ, **კოლხიდა** (საზამთრო), **კოლმეურნე, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — ოთხი ნაბიჯი ღრუბლებში, **კოლხიდა** (საზაფხულო) — სალონიკელი პატრიოტები, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — სისხლიანი დრო, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — ჩემი სიყვარული, **ოფიცერთა სახლი** — ამაღამ ქალაქი დაიღუპება, **დიდუბე** (საზაფხულო) — დედა-ინდოეთი (I-II სერია), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — პერის ქუჩა, **თანამგზავრი** — სიცოცხლე თუ სიკვდილი.

## ტელევიზია

29 აგვისტო

18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ხელოვნება“, 19.50 — კინონარკვევი, 20.20 — გადაცემა — „დ. კლდიაშვილის გმირები ეკრანზე“, 20.50 — ახალი ამბები, 21.05 — მხატვრული ფილმი — „უკანასკნელი ზამთარი“.


### თბილისის განათლების განყოფილება

**აცხადებს,** რომ 1962-63 სასწავლო წლის დასაწყისიდან თბილისის 68-ე ქართულ საშუალო სკოლაში (კიროვის რაიონი, ვოლოდარსკის ქ. № 5) იხსნება მეცხრე კლასები საწარმოო სწავლების მათემატიკური პროფილით.

აღნიშნულ კლასებში მიიღებიან ქალაქის ყველა სკოლებიდან ის მოსწავლეები, რომლებიც განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ მათემატიკური საგნებისადმი.

**განცხადებები მიიღება სკოლაში.** განცხადებას თან უნდა დაერთოს მოწმობა მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების შესახებ, ნიშნები მათემატიკურ საგნებში V-VIII კლასებისა, დახასიათება სკოლიდან.



რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

**კომუნისტი** — ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 2-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, ფელეტონის — 3-35-01, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 9-94-42.

უე 09485

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.